

საქართველოს კანონი „არასაბანკო-სადეპოზიტო დანესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ“

პასტანგ ლონლაქი*

მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის (ADP) ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტის საფუძველზე 2002 წლის 4 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „არასაბანკო-სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“, რომლის მიზანია საკრედიტო კავშირის ინსტიტუტის სამართლებრივი სტატუსისა და მისი საქმიანობის სფეროს განსაზღვრა, აგრეთვე, მასზე ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების დადგენა. ხსენებული კანონი შედგება 11 თავისა და 32 მუხლისაგან.

კანონის I თავი ითვალისწინებს ზოგად დებულებებს, მათ შორის იძლევა კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტებებს, ადგენს საკრედიტო კავშირების საქმიანობის პრინციპებს, უფლებამოსილებასა და რეგისტრაციის პირობებს.

კანონის 1-ლი მუხლის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, არასაბანკო-სადეპოზიტო დანესებულება - საკრედიტო კავშირი არის „კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სანარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაზრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება“. ამავე თავის (ე) ქვეპუნქტის მიხედვით, სესხი არის „საკრედიტო კავშირის მიერ თავისი წევრებისათვის დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება“.

წარმოდგენილი კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები აწესრიგებს საკრედიტო კავშირის საფირმო სახელწოდების საკითხებს და ადგენს, რომ კოოპერატივის სახელწოდებაში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა აუცილებელ რეკვიზიტებს უნდა დაემატოს აღნიშვნა „საკრედიტო კავშირი“.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საკრედიტო კავშირის რეგისტრაცია ხორციელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

კანონის 21-ე მუხლის, ასევე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი საკრედიტო კავშირს პერიოდულად განუსაზღვრავს სანესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას, რომელიც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლისა და განსახილველი კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იქმნება კოოპერატივის (საკრედიტო კავშირის) წევრების საპაიო შენატანებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დასაშვებია საკრედიტო კავშირის სანესდებო კაპიტალის შემცირება ეროვნული ბანკის თანხმობით, მაგრამ არაუმცირეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური სანესდებო კაპიტალის ოდენობისა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60.3 მუხლის მიხედვით, კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს საზოგადოების ქონებით. საკრედიტო კავშირების შემთხვევაში, გამომდინარე ეროვნული ბანკის მკაცრი საკონტროლო და საზედამხედველო ფუნქციიდან მათ საქმიანობაზე, კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს სანარმოს კაპიტალის შემადგენლობას, კერძოდ

* თსუ-ის ევროპული სამართლის მაგისტრატურის სტუდენტი და GEPLAC-ის სტაჟიორი.

21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „საკრედიტო კავშირის კაპიტალი შედგება სანესდებო კაპიტალის, დამატებითი ფულადი შენატანების, ფულადი შემონირულობების, ამ კანონით გათვალისწინებული საერთო რეზერვის და გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წლის მოგებისაგან“. აქვე განვმარტავთ, რომ საერთო რეზერვები კანონის VII თავის მე-18 მუხლის თანახმად, იქმნება წლიური მოგებიდან ანარიცხებით, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს გასანაწილებელი მოგების 90 პროცენტზე ნაკლები. ეს საკრედიტო კავშირის ერთ-ერთი ვალდებულებათაგანია და ემსახურება საკრედიტო კავშირის ზარალის დაფარვას.

კანონის III თავი ეთმობა საკრედიტო კავშირის წევრობის პირობებს და წევრთა უფლება-მოვალეობებს. იგი მოიცავს მხოლოდ ერთ, მე-5 მუხლს, რომლის თანახმად, საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს საკრედიტო კავშირის წევრების უმთავრეს ვალდებულებას, რაც გამოიხატება მათი მხრიდან პაის შეტანის ვალდებულებაში წესდებით განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით.

კანონის III თავი ეთმობა საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელობას. კანონში წარმოდგენილი სამსაფეხურიანი მართვის სისტემა (წევრთა საერთო კრება, გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო) შესაბამისობაშია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, თუმცა კანონის ერთგვარ ნოვაციად უნდა ჩათვალოს აღმასრულებელი დირექტორის ინსტიტუტის შემოტანა ზემოთ აღნიშნულ სისტემაში. აღმასრულებელ დირექტორს, კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ნიშნავს გამგეობა თავისი შემადგენლობიდან. იგი ხელმძღვანელობს გამგეობას და წარმოადგენს საწარმოს მესამე პირებთან ურთიერთობაში. კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება მონვეულ იქნეს საკრედიტო კავშირის არაწევრი პირიც.

საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შემავალი ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: ფილიალების შექმნა, საკრედიტო კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჭიროებს ეროვნული ბანკის წინასწარ თანხმობას.

სამეთვალყურეო საბჭოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათაგან აღსანიშნავია, რომ გამგეობის წევრებზე სესხის გაცემა ხდება ამ უკანასკნელის თანხმობით.

კანონის ნოვაციაა, აგრეთვე, საკრედიტო კომიტეტის ინსტიტუტი, რომელსაც ეთმობა კანონის III თავის მე-10 მუხლი. აღსანიშნავია, რომ საკრედიტო ინსტიტუტი არ არის საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელი ორგანო, თუმცა წარმოდგენილია კანონის იმავე თავში, რომელიც ხელმძღვანელ ორგანოებს ეთმობა. ნათელია, რომ კანონის ხსენებული თავი სტრუქტურულად გაუმართავია. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება, თუ საკრედიტო კომიტეტს, როგორც საკრედიტო კავშირის საკრედიტო საქმიანობისათვის პასუხისმგებელ ორგანოს, კანონის ცალკე თავი დაეთმობა. აგრეთვე ბუნდოვანია მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტიც, რომლის 1-ლი წინადადების თანახმად, საკრედიტო კომიტეტი ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე, ხოლო მომდევნო წინადადებაში კანონმდებელი ადგენს მის ვალდებულებას, გამგეობასთან ერთად სამეთვალყურეო საბჭოსაც წარუდგინოს ანგარიში განეული საქმიანობის შესახებ.

საკრედიტო კომიტეტის კანონით განსაზღვრულ კომპეტენციას მიეკუთვნება სესხის გამოყოფის თაობაზე წევრთა განცხადებების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, სესხის დაბრუნებაზე კონტროლის განხორციელება და კანონმდებლობით თუ წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

წარმოდგენილი კანონით, საკრედიტო კავშირებისათვის ნებადართულ საბანკო საქმიანობებს მიეკუთვნება ანაბრების მიღება, სესხების გაცემა, ასევე ინვესტიციების განხორციელება კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, საკრედიტო კავშირს შეუძლია, განხორციელოს

საკანონმდებლო სიასლენი

ინვესტიციები ე.წ. „ჭარბი ლიკვიდურობის“ გათვალისწინებით, ე.ი იმ ფულადი სახსრების გათვალისწინებით, რომლებიც რჩება საკრედიტო კავშირს არსებული ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვისა და თავისი წევრების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ (1-ლი მუხლის (თ) ქვეპუნქტი).

კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია, განახორციელოს ინვესტიცია სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით. მოცემული დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან ემსახურება ანალოგიური საფინანსო ინსტიტუტების დამკვიდრებას და მათ გაძლიერებას საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში.

წარმოდგენილი კანონის IX და X თავები შესაბამისად არეგულირებენ საკრედიტო კავშირების ლიცენზირებისა და ეროვნული ბანკის მხრიდან მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის საკითხებს, მათ შორის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მართვას, ლიკვიდაციას და დარღვევების შემთხვევაში საკრედიტო კავშირების მიმართ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სანქციების გამოყენებას. ყოველივე აღნიშნული წარმოდგენს საბანკო ზედამხედველობის ერთიანი ციკლის შემადგენელ პროცესებს, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანოს, ძირითად უფლებამოსვალეობას შეადგენს და, შესაბამისად, დეტალურადაა მოწესრიგებული ასევე „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის ახალი რედაქციით.